ოქმი №10

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სახდომისა, რომელიც ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 18 ოქტომბერს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:40 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები – ი. ქარდავა, ი. ცხვიტავა, მ. გვიჩია, ზ. ყურაშვილი, კ. ტორჩინავა, მ. ნანეიშვილი.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის" დირექტორის მოადგილე: ლ. მიქაბაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"-ს მიერ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის" დირექტორის მოადგილე: ლ. მიქაბაძე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინა: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"-ს 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის" დირექტორის მოადგილე: ლ. მიქაბაძე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა - ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"-ს 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ **გადაწყვიტა:**

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"-ს 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის მოსმენისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თვმჯდომარე: ინგა ქარდავა